# ცნობის ფურცელი
## სურათებიანი დამატება

დამატების № 348. ოთხშაბათი, 14 სექტემბერი 1905 წ. გაზეთის № 2808

# საუნჯის მაძებარი

იაპონური ზღაპარი.*)

## IV

ჰიორის ერთმა შემთხვევამ შეუწყო ხელი. სალამოზედ მოხეტიალე მომღერლები შეხვდნენ. ძალიან უნდოდა იმათი მოსმენა. აჩუქა ერთი საპეკი და ამღერა.

ეს თქმულება დაუსრულებელი პოემა იყო. დაწვრილებით იყო აწერილი თავგადასავალი ახალგაზდა კაცისა, რომელსაც აზამას საუნჯეებამდე მიეღწია ერთ ჯადოქარის ნაჩუქარ თილისმის შემწეობით. ცეცხლ მფრქვევ მთის ნაპირები გაირღვა იმის წინ და იქიდან ძვირფასი საუნჯეები გამოიტანა.

ეს რომ გაუმაძღარმა და ბოროტმა ბებერმა გაიგო, თილისმის ძალით საუნჯის მოპოვება მოინდომა, მაგრამ მას მოტვლეპილი და მიუდგომელი მთის წვერი დახვდა. იქ უფსკრულში ჩავარდა და დასახიჩრდა. ყოველს ტაეპს უცნაური მოძახილი მოსდევდა:

„მრავალი საუნჯეა აზამაში დაფარული; მაგრამ რაც ერთისთვის გამაბედნიერებელია, მეორეს დამღუპველია. თამამად, მგზავრო, სახიფათოა შენი არჩევანი!“

სიმღერის გაგონება კი სულ ერთი საპეკი ღირდა, მაგრამ მისი ჩვენებანი ჰიორისთვის ბნელი იყო. რაც შეეხება საუნჯეს,—სიმღერიდან არა სჩანს და არც იყო დასახელებული, სახელდობრ, რომელი თილისმა იყო გზის გასახსნელად საჭირო. როგორ უნდა იშოვოს? სად უნდა მოძებნოს ამ ძვირფას საზამის საიდუმლო დარაჯი?

ჯადოქრები მრავლად არიან იაპონიაში. ისევე მიმართავენ ხოლმე ჯადოქრებს, როგორც ექიმებს.

ჰიორის ცოტა ფული უნდა დაეხარჯა, რომ ყველაზედ ცნობილ ჯადოქრის მისამართი გაეგო. მისმა განზრახვამ, რომელიც უნებურად წამოსდა მომღერლების ყურის საგდებად შეკრებილ ხალხის კითხვებზედ, დანანების ღიმილი მოჰგვარა ყველას.

„კიდევ ერთი სულელი გამოჩნდა და ზღაპრები დაიჯერაო,“—ამბობდა ხალხი.

## V

მახინჯი, მუდამ იგავებით მოლაპარაკე ჯადოქარი თავის სიმბოლიურს ირემზედ შეჯდა, კარგა ხანს იფიქრა ზეცისკენ თვალებ აღპყრობილმა და ღვთაების განხილვაში გართულმა. ღვთაებას რჩევას სთხოვდა.

— ჩემო შვილო,—სთქვა მან ბოლოს:—ბევრჯელ მოსულა ჩემთან ხალხი აზამას გზის საკითხავად. ზოგი აღარ დაბრუნდა,—ისინი, უეჭველია, ყველაზედ ბედნიერნი არიან; ზოგს ამალა მოსდევდა,—იმათ ან ქურდობა დაიწყეს, ან კაცისკვლა, ან აყალმაყალი; შეიძლება ჭკუაც დაკარგეს.

ერთის სიტყვით, ყველა ის, რომელიც საუნჯეს საძებრად წავიდა, ან გაგიჟდა, ან პატიოსნებაზედ ხელი აიღო.

— მე არც გიჟი ვარ, არც უპატიოსნო,—სთქვა ჰიორიმ:—მე უბედური ვარ.

ჰიორიმ უამბო ჯადოქარს თავისი თავ-გადასავალი.

*) იხ. „დამატება“, № 347.

— მაშ შენ ძალიან გიყვარს ის ქალი?—ჰკითხა ჯადოქარმა.

— იმდენად, რამდენადაც შესაძლებელია სიყვარული.

— კარგი; თუმცა შენ, რასაკვირველია, სისულელეს სჩადიხარ, მაგრამ მაინც მინდა რითიმე დახმარება გაგიწიო. ერთად-ერთი თილისმა, რომელსაც შეუძლიან დახმარება აღმოგიჩინოს მაგ საქმეში, გლიცონიის ტოტია. ეს ტოტი თითქმის არაჩვეულებრივი საკვირველებაა, რომელსაც შენი სუსტი თვალები ვერც დაინახავენ და ვერც იპოვნიან. მაგრამ ტომიაკას წმინდა ჭაობებში ნაცრის ფერი ტოროლაა. მხოლოდ ის შოულობს იმ მცენარეს თავის ბუდისათვის. იმას წაართვი ის ტოტი იმ დროს, როდესაც მიჰქონდეს, მაგრამ უნდა კი ეცადო, რომ თვითონ ტოროლას ან არა დაუშავო რა, ან არ მოჰკლა. არ უნდა მოუსპო სიცოცხლე იმ ცხოველს, რომელიც შენი გამოსადეგია.

ჰიორიმ მადლობის გადახდა დაიწყო, ჯადოქარმა კი დაუმატა:

— გახსოვდეს: მე ბრძენი ვარ და არა ჯადოქარი. ძალიან შორს მიემგზავრები შენი იღბლის საძებრად, თუმცა ის შენს ახლოა. ფეხს ქვეშ იცქირე; აზამას მწვერვალებს კი ნუ გააყოლებთ თვალს, თორემ, შეიძლება, საუნჯეს ახლოს გაიარო, სიცოცხლეს კი ვეღარ დაიბრუნებ.

## VI

სამი დღის განმავლობაში ჰიორი მუხლებამდის წყალში იდგა; ტოროლას გამოფრენას უცდიდა. ჯერ-ჯერობით სურდოსა და ქარების გარდა ვერაფერი შეიძინა.

ტომიაკას ჭაობებთან შემთხვევით გამვლელნი მისმა უცნაურმა საქციელმა დააცნობისმოყვარა. ჰიორი წელში მოხრილი იყო, თითქო ქოლგას უმიზნებსო, და ფრინველს ცის დასავლისკენ (ჰორიზონტისკენ) მიმართული თვალებით უდარაჯებდა.

ჰიორი სასტუმრო „აყვავებული ვარდის ბუჩქში“ დადგა. დიდს გაჭირვებაში იყო. არ იცოდა, როგორ წაერთმია ტოროლასათვის ტოტი, რომ არც მისთვის მიეყენებინა რამე ვნება და არც ბუდემდის მიეტანინებინა.

ძნელი საქმე იყო! იმდენად ძნელი, რომ ახალგაზდა დაიმიო მზად იყო იაპონიის ჯოჯოხეთის ეშმაკებს ხელში ჩავარდნოდა.

თუმცა ამ მდგომარეობაში იყო, მაგრამ არავითარს ყურადღებას არ აქცევდა სასტუმროს პატრონის ქალის ათასგვარს ეშმაკობას. ახალგაზდა, თხუთხმეტი წლის ცქრიალა ნარეა პეპელასავით თავს დასტრიალებდა ჰიორის.

ჰიორი მუდამ დაღონებული და ფიქრში გართული იყო. ნარეამ მოწყენის მიზეზი ჰკითხა.

— ჩემო მშვენიერო მეზობელო, მე ნიკკო მიყვარს,—უპასუხა მან მოკლედ:—მაგრამ იმასაც რომ შევუყვარდე, საჭიროა გლიცონიის ტოტის შოვნა, რომელიც ნაცრის ფერს ტოროლას აქვს ხოლმე.

— უეჭველია, ნიკკო ძალიან ლამაზია, რომ შენ შეგყვარებია,—სთქვა ქალმა და ღრმად ამოიოხვრა.

— მაგრამ არ ვიცი,—განაგრძო ჰიორიმ:—ისე როგორ წავართვა ტოტი, რომ ტოროლას არა ევნოს-რა. აი რამ დამაღონა.

— მაშ ის ტოტი ბევრს სიკეთეს გიზამს?

ელექტრონული ბიბლიოთეკა



**ნაგების მყინვარი სვანეთში.** — სურათი ჰლაცის.

— ოჰ, ჩემი სიცოცხლე იმაზეა დამოკიდებული!

— მე მესმის შენი მწუხარება,—სთქვა ნარეამ —როდესაც ვინმე უყვართ, ყველაფერი შეუძლიათ.

ნარეას თვალები აემღვრა, ცრემლი მოერია, თითქო ფოლიოს დილის ნამი დასცემიაო. უცბად გაბრუნდა და წავიდა.

მეორე დღეს განთიადისას ტაშის კვრით გააღვიძა თავისი სტუმარი.

ჩემი სიყმაწვილე მომაგონდა,—სთქვა ნარეამ. — დიდი წითელი ქოლგა მაჩუქეს; ის და თაფლ-წასმული პური ხელში მეჭირა და ამაყად დავსეირნობდი. ამ დროს უცბად ერთი ძაღლი მომვარდა და პური წამართვა. თავის საუბედუროდ შენობის კუნჭულში მოემწყვდა და ველარ გაიქცა, მე იმის წინ ვიდექ და არ ვიცოდი, როგორ წამერთმია პური ისე, რომ არ ევბინა. უცბად ჩემი წითელი ქოლგა გავშალე, შეშინებულმა ძაღლმა პურს თავი ანება და მოკურცხლა. შენც ასე მოიქეცი.

— ტოროლა რომ შორიდანვე დაინახავს ქოლგას და შეშინდება?

დაკეცილი გეჭიროს და როდესაც ახლოს გაგიფრინოს, უცბად გაშალე, მე დარწმუნებული ვარ, რომ ტოტი გაუვარდება.

იმ დღეებში ტოროლები საქმლის ძებნაში იყვნენ გართულნი და ბუდისთვის არა სცხელოდათ.

ტოროლებისთვის ბუდის ასაშენებლად განთიადია ყველაზედ კარგი დრო. სწორედ ეს დრო იყო, რომ ტოროლამ მეოთხე დღეს ჰიორის ახლოს გაუფრინა. ნისკარტით მიქონდა გლიცონიის ტოტი რომლის ფოთლებიც მზეზედ ბრწყინავდა. ჰიორიმ შრიალით გაშალა ქოლგა; ტოტი გავარდა: თილისმა ხელში ქონდა.

## VII

ეხლა რაღა გააკეთოს? პირველმა სიხარულმა გაიარა და ჰიორი დარწმუნდა, რომ ჯერ არაფერი გაუკეთებია. სულ არ იცოდა ან საუნჯე სად იყო, თუ კი მართლა არსებობდა, ან რა გზით უნდა მოიპოვო, ან საით იყო გზა. ჯერ მთის წვერზედ უნდა ასულიყო. მაგრამ მთა ციცაბო კლდეს წარმოადგენდა და, თითქო საიდუმლოაო, არც მწვერვალი სჩანდა და არც ბილიკი. მართალია, ზოგიერთი გლეხი თურმე ხანდახან ბედავდა და იქ ბალახს გლეჯდა, მაგრამ გლეხები არავის უმხელდნენ ძალა-დაუტანებლად. ჰიორის მარტო ამ საიდუმლოში ხალხისაგან შეეძლო საჭირო ცნობების გაგება.

რამდენისამე დღის განმავლობაში გზის მცოდნეს ფრთხილად ეძებდა, მაგრამ შიშით ვერავინ მისდევდა. ერთს დილას მარტო წავიდა მთაში, მაგრამ გზა დაებნა და დაღალულ-დაქანცული საღამოზედ სასტუმროში დაბრუნდა. ნარეა მაშინვე მისკენ გაეშურა.

— რაღამ დაგაღონა, ჰიორი? ხომ იშოვე, რაც გინდოდა. რატომ არ გაემგზავრები?

ჰიორიმ ყველაფერი უამბო; თავისი უფულობა და სიყვარული, იმედები და მარცხი.

— ყური მიგდე,—სთქვა დინჯად ნარეამ;—პატარაობისას უდარდელად დავრბოდი ამ მთის მიყრუებულს ადგილებში. ჩემზედ კარგად იქაურობა არავინ იცის. არასოდეს ასეთი არა შემხვედრია რა და არ მინახავს იქ, რასაც მე დავეღონებინე. მაგრამ დიდობისას უცნაური თქმულებანი გავიგონე საიდუმლო სულების შესახებ, მეც ცრუ მორწმუნოების შიშმა შემიპყრო. თუმცა ვიცი, რომ შენი განზრახვა სისულელეა, მაგრამ მაინც მიგიყვან მთის მწვერვალამდის, იმიტომ რომ მინდა ისეთივე გახარებული გნახო, როგორიც ტოტის მოტანის დღეს.

## VIII

მეორე დღეს ორივე წავიდა. ჰიორიმ თავის ხის ქალამნების მაგივრად მთაში ადვილად სასიარულო ფეხსაცმელი ჩაიცვა, ნარეამ კი მშვენიერს ლურჯ ტანის სამოსზედ აბრეშუმით ამოკერილი ვეშაპებიანი წამოსასხამი წამოისხა, რომ გამვლელთ ყურადღება არ მიექციათ.

მეტად ძნელი ასასვლელი მთა იყო: ცეცხლით მფქვევ მთას ამოხეთქის დროს ამოესროლა მრავალი ვეებერთელა ლოდი, რომელიც ფერდობებზედ მოზვავებულიყო, და ამიტომ ან გარშემო უნდა შემოევლოთ ლოდებისთვის, ან ზედ ელაჯებინათ. ერთფეროვან ნაცრით დაფარული დედამიწა თვალებს უჭრიალებდა და გულის რევა მოსდიოდათ. მაგრამ არაფერი დაბრკოლება არ აფერხებდა. სუსტი ნარეა უფრო დაუღალავად მიდიოდა; სახიფათო გასავლებში ეხმარებოდა თანამგზავრს და ამხნევებდა.

ბოლოს მთის მწვერვალს მიაღწიეს. გამოჩნდა დიდი უფსკრული, საიდანაც ორთქლი ამოდიოდა.

ამ უფსკრულში ჩასვლა შეუძლებელი იყო. ნაპირები დაქანებული ჰქონდა და თოკითაც კი არ შეიძლებოდა, ცოტაც არი, ჩაშვებულიყო კაცი.

ჰიორი ნაპირზედ ჩამოჯდა და სასოწარკვეთილებას მიეცა. ნარეა კი იქაურობას ათვალიერებდა და ვერ წარმოედგინა, რომ ამდენი წვალება ამაოდ ჩაივლიდა.

უცებ ჰიორის დაუძახა და სთხოვა, მთის მწვერვალზედ მიხლაკნილ-მოხლაკნილს განიერს ნაპრალს ყურადღებით დაჰკვირებოდა.



მთა სვანეთში.

— შეხედე, თითქო კლდეში კიბეებია გამოთლილიო.— სთქვა მან.

— მართლა?

— აი ნახავ. მე ჩავალ და შენც მომყე.

მართლაც, გაიარეს ვიწრო გასავალი და ძაბრის მგზავს ორმოში გაჩნდნენ, სადაც კიბეები იყო და ამიტომ უფრო ადვილი იყო ჩასვლა.

ორმოს ძირში რგვალი განიერი მოედანი იყო. გარედან ნაპრალით შემოსული სინათლით აქა-იქ იყო განათებული. ჰიორი და ნარეა ამ პატარა მოედანს გაჰყვნენ და რამდენიმე წამის შემდეგ მიადგნენ უფსკრულს, რომელზედაც ბოგირი იყო გადაგდებული. ბოგირის ბოლოში იედდოზედ მყოფს სირო სოგუნზედ უკეთესი ხელოვნების კარები აღმოჩნდა. როგორც თქმულებაში იყო აღწერილი, ეს კარები მთის სულების და, უეჭველია, აზამას საუნჯესთან გადიოდა.

შუა ხიდზედ დარაჯად ხმლიანი მეომარი იდგა, რომელსაც ეტყობოდა, რომ სტუმრებს ჩვეული არ იყო. ხელში ვეებერთელა შუბი ეჭირა.

— რა გინდათ?—ჰკითხა მათ დარაჯმა.

— ჩვენ აზამას მფლობელის ნახვა გვინდა,—უპასუხა ჰიორიმ და თავის თილისმა აჩვენა.

დარაჯმა დაუსტვინა; თვალის დახამხამებაზედ ერთი გონჯი ჯუჯა გაჩნდა, გაიგო ახლად მოსულების სურვილი და ხმის ამოუღებლად წაიყვანა. გაატარა მდიდრულად მორთული ოთახები, სამეფო დარბაზი, სადაც ალმასის ქვები უძვირფასეს ლითონებში იყო ჩასხმული. იმ სასახლის სიმდიდრეს და მორთულობას ვერაფერი შეედრებოდა. ნარეა აღტაცებაში მოდიოდა, როგორც ქალს სჩვევია. საზიზღარი უზარმაზარი და სქელი ქმნილება თვალებ დაჭყეტილი იჯდა, წინ თეფშით ბრინჯი და ფინჯნით საკი ედგა. ფეხებზედ ჩამოცმული ჰქონდა ჯუბის სახელოები, წვერები—გაწეწილი, ტუჩები გრძელი.

ეს თვით მფლობელი იყო.

— შენ გინდოდა ჩემი ნახვა?—ჰკითხა მან ჰიორის.—რა გინდა ჩემგან?

ამ კითხვაზედ ჰიორი დაიბნა. ამ პატარა კითხვაზედ კი არ უფიქრია! მთის სულთან უმიზეზოდ სიმდიდრის სათხოვნელად მისვლა არ შეიძლება. თავდაპირველად იმაზედ ფიქრობდა, როგორ ეშოვა თილისმა; მერე—როგორ მიეღწია მთის მწვერვალამდის, შემდეგ—საშიშს მგზავრობაზედ. მაგრამ იმაზედ არასოდეს არ უფიქრია, რა უნდა უთხრას მთის სულს.

— მეტყვი, თუ არა, რა გინდა ჩემგან?—მოუთმენლად გაიმეორა მთის სულმა.

— მე ერთი ახალგაზდა ქალი მიყვარს!—სთქვა ჰიორიმ:— მაგრამ გავღარიბდი და აღარ შემიძლია მისი შერთვა. მეუფეო, მე იმედი მაქვს, რომ შეხვალთ ჩემს გარემოებაში, შეიწყნარებთ ჩემს თხოვნას და ნებას მომცემთ ვისარგებლო აზამას საუნჯით, რომელზედაც ჩვენში დიდი მითქმა-მოთქმაა. მისი მცირე ნაწილი დედამიწაზედ ორს ადამიანს გააბედნიერებს, შენ კი ეგ არ გაგაღარიბებს.

მთის სულს ეგონა, რომ ნარეა იყო ის არსება, რომელსაც ჰიორი უნდა გაებედნიერებინა. დიდხანს უცქირა და, სჩანდა, რომ იმის მშვენიერი თმების, მოგრძო შავის თვალების და თეთრი სახის ცქერით სტკბებოდა. ბოლოს ეშმაკურის ღიმილით მიუბრუნდა ჰიორის:

— ვიდრე ღმერთებს საუნჯეს სთხოვდე, შეგიძლია, უეჭველია, იჩივლო იმათზედ, რომელთაც შენი ქველმოქმედება დაუსაჩუქრებლად დასტოვეს? რა ხელობისა ხარ?

— არაფერს ხელობას არ მივსდევდი,—უპასუხა გაწბილებულმა ჰიორიმ.

— ჰო!.. მაშ შენ კეთილად მოგიხმარია შენი ქონება: ღარიბებს შველოდი, საავადმყოფოებს აარსებდი, შენს თავადს ბლომა ფულს ასესხებდი ომისთვის ან სხვა საჭიროებისთვის? მართალია, თუ არა, რომ ამგვარს საქმეში დახარჯე შენი ფული?

— წავაგე,– ჩურჩულით უპასუხა ჰიორიმ.

— მაშ, რა პირით მოხვედი? მამაშენმა ფული დაგიტოვა, შენ კი გაფლანგე; ეხლა კი იმის მაგივრად, რომ შენი ოფლით მოიპოვო ხელახლად, სახიფათო საქმეზედ მოდიხარ? მიპასუხე: სულ ეგ არის შენი გაკეთებული საქმე, რაშიც საუნჯე გინდა გამომთხოვო?

ჰიორიმ ვერა უპასუპა რა და გაჩუმებული იდგა.

— შენამდის ბევრი მინახავს,—განაგრძო მთის სულმა,— შენსავით უკეთური და თავში ატაცებული. მაგრამ შენ კიდევ გაქვს საუნჯე, რომელსაც აზამას საუნჯის ფასი აქვს ჩემს თვალში. აი, რას გეტყვი: რაც გინდა ამოიღე ჩემი სკივრები-

დან და რამდენსაც მოერევი წაიღე: ეს ქალი კი მე დამიტოვე.

ჰიორი შეხტა: ის იყო უნდა დაეყვირა; „არა!" მაგრამ ყოყმანი დაიწყო.

ხედავდა, რომ იმედები უცრუვდებოდა. რაც უნდოდა, იმას აძლევდნენ ახალგაზდა ქალში, რომელსაც ჯერ არც-კი იცნობდა.

— მე თანახმა ვარ! ჩემი წილ-ხვედრის კმაყოფილი ვარ.

ჰიორი აირია.

— გეუბნები, თანახმა ვარ,—გაიმეორა ნარეამ.—დაბრუნდი ნიკკოსთან სასურველ საუნჯით. ღმერთმა გაგაბედნიეროთ. როგორ-და ვიცოცხლებდი თავს, როდესაც მეცოდინებოდა, რომ შენ უბედური და უნუგეშო ხარ? წადი, მე ვრჩები.

— ყველაფერი შენზეა დამოკიდებული,—დაუმატა მთის სულმა:—ორში ერთი არჩიე. საზღვრამდე ჩემი დარაჯი მიგიყვანს.

მთის სულმა ხელი დაავლო ნარეას, რომელსაც ძლიერის განძრევისგან გული წაუვიდა, და გაიტაცა.

IX

ერთს და იმავე დროს გახარებული და დაღონებული ჰიორი თავ ჩაღუნული გაჰყვა დარაჯს, რომელიც ოქროთი იყო მორთული. იმას უნდა ეჩვენებინა ალმასით, ლალით, ზურმუხტით და სხვა ძვირფასი ქვებით სავსე სკივრები, საიდანაც შეეძლო, რამდენიც უნდოდა, წაეღო.

ჩქარა მთის ძირას გაჩნდა, მშვენიერს ბაღში, სადაც ჩამავალი მზის სხივები გრძელ ტოტებიან ხეებით იყო დაჩრდილული. ეს განმარტოებული ბაღი სევდიანად გამოიყურებდა. ჰიორის გული ეკუმშებოდა, როდესაც ნარეა მოაგონდებოდა, დარაჯს სიჩუმე კი მის ფიქრებს ხელს უწყობდა.

შებინდდა. ბაღს ჩრდილი გადაეფარა. უცბად ერთს ბილიკთან, ვიღაცის თეთრი ჩრდილი გამოჩნდა და საჩქაროდ გაჰქრა. მეორეც მას მიჰყვა. დაიმიოს ყვირილი მოესმა:

— მშვიდობით, ჰიორი! მიყვარდი და შენთვის ვკვდები!

მიყვარდი!... ამ სიტყვამ ჰიორის თვალები აუხილა. ერთს წამში მთელი თავისი მოუსვენარი სიცოცხლე წამოუდგა თვალწინ; მოაგონდა ნიკკოს გაუტანელი სიყვარული, ამ ახალგაზდა ქვრივის სიმდაბლე, მისი სილამაზე, რომელიც მალე დაჰქნებოდა; მოაგონდა აგრეთვე თავის მეგობრების უმადურობა.

მათს შორის ნარეას საყვარელი სახე, მისი წმინდა სიყვარული, მისი ჰიორისადმი ნდობა, რომელზედაც ასეთის უმადურობით გადაუხადა.

— შეჩერდით, შეჩერდით!—დაიყვირა ჰიორიმ და იმ გზით გაიქცა, სადაც ახალგაზდა ქალი და მისი მომტაცებელი გაქრა.

— არ მინდა შენი საუნჯე!—უძახდა იგი მთის სულს:—ნარეაზედ ძვირფასი არაფერია!..

X

ჰიორიმ თავისი დანარჩენი ქონება და ხარახურა გაჰყიდა, გამოართვა თავის მეგობრებს ნასესხები ფული, მოურავს უმართებულოდ შეძენილი მიწები დააბრუნებინა და თავის შრომით მოეწყო. პატარა, კოხტა სახლში, სადაც ნარეა დაასახლა, არ იყო ძველებური სიმდიდრე, სამსართულიანი სახლი და სამი ეზო, უწინდებური მრავალრიცხოვანი ამალა. ან კი რად უნდა! ის მაშინ არის ბედნიერი, როდესაც თავის ცოლის ნარეას ღიმილს ჰხედავს.

ხანდახან ნანობდა ამ ბედნიერებაში მყოფი ჰიორი, რომ აზამას საუნჯე ხელიდან წაუვიდა.

— რომ შეგვეძლოს იმ საუნჯის ხელში ჩაგდება?—ამბობდა ის.

— უფრო ბედნიერები ვიქმნებოდით!—უპასუხებდა ნარეა.

ჰიორის მაინც ენანებოდა საუნჯე.

რამდენიმე ხნის შემდეგ ისევ დაიწყო საუნჯეზე ლაპარაკი. ამ ლაპარაკის დროს ბავშვი გარედ თამაშობდა. ერთ დიდ ლანგრიდან, რომელიც კიბეს ამშვენებდა, ვიღამაც ნაზის ხმით დაუძახა,—შემდეგ იქიდან პატარა ფერია გადმოვიდა, ხელებში ოქროს ვაშლი ჩაუგდო და გაჰქრა. გახარებული ბავშვი მამასთან გაიქცა საჩუქრის საჩვენებლად. მამამ ლითონზედ დაწერილი წაიკითხა:

„აზამაში ბევრი საუნჯეა. ფრთხილად ამოარჩიე. რის მაქნისია სიმდიდრე? უძვირფასესი საუნჯე მოყვარული და ჭკვიანი ცოლია."

ბოლოს ჰიორიმ გაიგო, რომ იმის მგზავრობაში ღმერთებმა მიიღეს მონაწილეობა და მას შემდეგ საუნჯეზედ აღარ უფიქრია.

**დიმ. დეკანოზიშვილი.**




— ეი, მეგაზეთე! მომეცი „სვეტ"-ი.
— არა გვაქვს...
— „მოსკ. ვედომოსტი"?
— არა გვაქვს...
— „რუსსკ. დელო"?
— არა, არც ეგ მოგვდის.
— „ნოვ. ვრემია"?
— არც ეგ.
— ტფუ!.. მთავრობა რატომ არ აქცევს ყურადღებას ასეთს ბოიკოტს?!..

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. გ. ჯაბადარი**

Доз. ценз. Тифлисъ 12 сентября 1905 г.
ელექტრონის სტამბა წიგ. გამომც. ქართ. ამხ—სა.